

## რევაზ ეგაძე



დაბადების თარიღი:  
მისამართი:  
ტელეფონი:  
ოფიციური მდგომარეობა:  
E-mail:

27. 10. 1973 წლი  
ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №6/36;  
599 85 19 73;  
დაოჯახებული.  
[revazegadze@gmail.com](mailto:revazegadze@gmail.com)

### ავტობიოგრაფია

მე, რევაზ ეგაძე, დავიბადე ქ. რუსთავში, 1973 წლის 27 ოქტომბერს. 1980-90 წლებში ესწავლობდი ქ. გარდაბანის №5 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სპეციალობა-სამართლმცოდნეობა), რომელიც დაეძამთავრე და მივიღე იურისტის კვალიფიკაცია.

სწავლის პარალელურად ემუშაობდი ს.ს „თბილსრესის“ იურიდიული განყოფილებაში, იურისტ-ერნსულტანტის თანამდებობაზე, 1997-2002 წლებში კი გარდაბანის რაიონის გამგებაში, იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2003-04 წლებში ჩავაბარე და ესწავლობდი საქართველოს სახოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (სახელმწიფო მმართველობის პროგრამა) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სპეციალობაზე, სადაც წარმატებით დავიცავი მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სწავლის პარალელურად, 2002-2005 წლებში ვმუშაობდი საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი „საქსტანდარტის“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „მეტროლოგიის ცენტრი“-ს ქვემო ქართლის რეგიონალური განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2005-2008 წლებში საქმიანობა მიწევდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში კონსულტანტის პოზიციაზე (ძირითადი მიმართულება - ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ხელშეწყობა).

2008 წლის დეკემბრიდან 2014 წლის ოქტომბრის ჩათვლით ვმუშაობდი გარდაბანის მუნიციპალიტეტის გამგების აღმინისტრაციული სამსახურის უფროსის, ხოლო 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ოქტომბრი - გამგებლის მრჩეველის თანამდებობაზე.

2017 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით ვიყავი №21 გარდაბანის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი და მექანიკური მოადგილის თანამდებობა.

2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ივლისამდე ვიყავი გარდაბანის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ხოლო შემდეგ, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - გარდაბანის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი აღმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში.

2022 წლის მაისიდან დღემდე ვარ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწავლების პროცესის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი.

h. ივაზ

2006 წლიდან მჭიდროდ ვთანამშრომლობდი საქართველოს საარჩევნო აღმინისტრაციასთან და საარჩევნო პერიოდში ვხელმძღვანელობდი საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების სასწავლო-სატრუნინგო დონისძიებებს ქვემო ქართლის მხარის საარჩევნო ოლქებში.

2012 წლიდან საჯარო სამსახურში საქმიანობის პარალელურად მიმყავდა აკადემიური სალექციო კურსები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში საარჩევნო და მუნიციპალური სამართლის მიმართულებებით.

2004 წლიდან გაელილი მაქეს სხვადასხვა სახის ტრუნერის (ფასილიტატორის) მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრუნინგო მომზადება საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში (თემატიკა: „ორგანიზაციული საჭიროებების კვლევა და პროექტების შემუშავება“; „საქართველოში ადგილობრივი მმართველობისათვის საგანმანათლებლო სისტემის მშენებლობა“, „საქართველოში დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავება“, „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“, „დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება“, „ეფექტური კომუნიკაცია და PR-კამპანია“, „ორგანიზაციული სტრუქტურა და განვითარება, მისია და ხედვა“, „მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება“, „კრიზისული სიტუაციების მართვა“, „საარჩევნო აღმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგების პროგრამის განხორციელება“ და სხვ.).

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არ ვყოფილვარ.

მყავს მეუღლე და ოთხი შეიღლი.

ავტობიოგრაფიის მონაცემები შედგენილია ჩემს მიერ, რასაც ვადასტურებ.

დეტალური CV თან ერთვის.

რევაზ ეგაძე

h. ეგაძე